პალესტინელმა მოხალისეებმა საქველმოქმედო დახმარება გაუწიეს რუსეთის სულიერი მისიის მეტოქიონს ქებრონში

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 23.08.2025. 21 აგვისტოს, ქებრონში, წმინდა მამამთავართა სახელობის რუსეთის სულიერი მისიის მეტოქიონში განხორციელდა ტერიტორიის დასუფთავება, რომელიც მანამდე დაზარალდა **ბოროტმზრახველთა მიერ ხანძრის გაჩენის შედეგად.** დასუფთავებაში, მეტოქიონის ბინადრებთან ერთად, მონაწილეობა მიიღეს მოხალისეებმა ქებრონის პროვინციისა და პალესტინის სხვა რეგიონებიდან.

რუსეთის სულერმა მისიამ ღრმა მადლიერება გამოხატა ყველა ვოლონტიორის მიმართ, ვინც მონაწილეობა მიიღო ამ კეთილ საქმეში, რომელიც ემსახურება წმინდა მამამთავართა სახელობის მეტოქიონის ბინადრებსა და ქებრონის მოსახლეობას შორის კეთილი ურთიერთობების განმტკიცებას და ხელს უწყობს, ასევე, რელიგიათაშორისი მშვიდობისა და თანხმობის შენარჩუნებას. რუსეთის ეკლესიის სასულიერო პირებმა და მონაზვნებმა, რომლებიც წმინდა მიწაზე მსახურობენ, გულწრფელი მადლობა

გადაუხადეს ქრისტიანული ეკლესიების პალესტინის უმაღლესი საპრეზიდენტო კომისიის თავმჯდომარეს, დოქტორ რამზი ხურის და ქებრონის გუბერნატორს, ბატონ ხალედ დუდინს, მონასტრის პრობლემებისადმი **ყურადღების** გამოჩენისა და დახმარების გაწევისათვის.

როგორც **რუსეთის სულიერი მისიის საიტზეა** აღნიშნული, „მოხალისეებისა და ქებრონის ხელისუფლების საქველმოქმედო აქცია აჩვენებს, რომ ჩვენს ხალხებს შორის კეთილი ურთიერთობები უთანხმოებაზე ძლიერია და საუკეთესო პასუხია იმ ადამიანების ქმედებებზე, რომლებიც სიძულვილისა და განხეთქილებ დათესვას ცდილობენ“.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/93483/